**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**
**ხელშეკრულება N 67**

ხარაგაული: **1 მაისი 2023 წელი**

ერთის მხრივ, **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია(ს/კ 243570989),** წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის **კობა ლურსმანაშვილის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „სი-ბი-აი“** (ს/კ 405192483), წარმოდგენილი მისი დირექტორის **პაპუნა პეტრიაშვილის** (პ/ნ 01009006731) სახით, ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი**

1.1 ხელშეკრულების საგანია, შერჩეულ პროექტებზე კენჭისყრისას ონლაინ ხმის მიცემის ტექნიკური უზრუნველყოფისთვის პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვა.

1.2 პროგრამა უზრუნველყოფს ვალიდაციას, რათა კენჭისყრის ერთ მონაწილეს არ ქონდეს განმეორებით ხმის მიცემის შესაძლებლობა, თუ შემსყიდველის მიერ სხვა რამ არ იქნა მოთხოვნილი.

1.3 მიმწოდებელი შემსყიდველს გაწეული მომსახურების ფარგლებში მიაწვდის ინფორმაციას კენჭისყრაში მონაწილეთა შესახებ, მათ მიერ გაკეთებული არჩევანის, ხმის მიცემის IP მისამართის და ხმის მიცემის დროის შესახებ.

1.4 კლასიფიკატორის კოდი: CPV - 48331000

**2. ხელშეკრულების ღირებულება**

2.1 ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ლარში.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **5000.00 (ხუთი ათასი)** ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

**3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი**

3.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.

**4 . მიწოდების პირობები**

4.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროგრამული უზრუნველყოფის მიწოდების ვადაა არაუგვიანეს 2023 წლის 2 მაისი.

4.2 მიმწოდებლი შემსყიდველს ელექტრონულ მისამართზე pr.kharagauli@gmail.com მიაწვდის ელექტრულ ბმულს, რომლის მეშვეობითაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებს კენჭისყრაში მონაწილეობას და ხმის მიცემას.

4.3 მიმწოდებელი წინამდებარე ხელშეკრულების 1.3 პუნქტით განსაზღვრულ ინფორმაციას შემსყიდველს მიაწვდის ელექტრონულ მისამართზე pr.kharagauli@gmail.com

**5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი და ანგარიშსწორება**

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება მოხდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით.

5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ: შემსყიდველის მხრიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი, **კობა ლურსმანაშვილი**, მიმწოდებლის მხიდან - **პაპუნა პეტრიაშვილი.**

5.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი გამოუწერს და გადასცემს შემსყიდველს შესაბამისი საფინანსო დოკუმენტაციას (ანგარიშ-ფაქტურა ან/და ინვოისი).

5.4. ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5.5. ანგარიშსწორება მოხდება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

5.6 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო.

## 6. მხარეთა უფლება-მოვალეობები.

**6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:**

6.1.1 შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
6.1.2 მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების პირობების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;
6.1.3 მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

**6.2 შემსყიდველი ვალდებულია:**

6.2.1 მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში;
6.2.2 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.
6.2.3 მიმწოდებლის მიერ შესყიდვის ობიექტის მიწოდებისას აღმოჩენილი ნაკლის ან/და დეფექტის გამოვლენიდან გონივრულ ვადაში აცნობოს მიმწოდებელს;

**6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:**

6.3.1 მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
6.3.2 მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

**6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:**

6.4.1 მიაწოდოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტი ხელშკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
6.4.2 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს შესყიდვის ობიექტის კონტროლი, რათა დარწმუნდეს მის შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
7.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან ახორციელებენ ხელშეკრულების 5.2 პუნქტში მითითებული პირ(ებ)ი.

## 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების სრულად შეუსრულებლობისთვის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.
8.2 ხელშეკრულების პირობების სრულად შეუსრულებლობისთვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით.
8.3 ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისთვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს) მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით.
8.4 ხელშეკრულების 4.3 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.
8.5 თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების 5.4 პუნქტის მოთხოვნებს, ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, მიმწოდებლის მიერ შესრულებული ვალდებულების მიხედვით ჩასარიცხი თანხის 0,02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
8.6 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
8.7 დარიცხული პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების მხარეების მიერ უნდა მოხდეს წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.
8.8 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელს არ აქვს გადახდილი დაკისრებული პირგასამტეხლო სრულად, შემსყიდველი არ მოახდენს წინამდებარე ხელშეკრულების 5.4 პუნქტით გათვალისწინებულ ანგარიშსწორებას.

## 9. ფორს-მაჟორი

9.1 ფორს-მაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა, ემბარგოს დაწესება, ასიგნებების მკვეთრი შემცირება  და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორს-მაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ თანხაზე ფორს-მაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება.

9.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების სრულად შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვნად შესრულება ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

## 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2023 წლის 30 ივნისის ჩათვლით.**

10.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულებისგან.

## 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

11.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

11.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

## 12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების სრულად შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

12.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

12.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით.

12.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.5 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულებისთვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს) დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.2 %-ს;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი  ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

## 13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების საფუძველზე წამოჭრილი დავები წყდება ურთიერთშეთანხმების გზით.
13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ საქართველოს სასამართლოს.

## 14. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

14.1 ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. მხარეთა შორის ურთიერთობა დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ელექტრონული ფოსტის გაგზავნის გზით.
14.2 მხარეთა ელექტრონული ფოსტის მისამართებია: მიმწოდებელი ltdcobi@gmail.com ; შემსყიდველი pr.kharagauli@gmail.com
14.3 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

## 15. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზიანს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
15.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
15.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
15.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
15.5 ყველა ის საკითხი, რომელიც გათვალისწინებული არ არის ხელშეკრულებით რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
15.6 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
15.7 შემსყიდველის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი ხელისმოწერით ადასტურებს, რომ მიმწოდებლის მიმართ სრულად აკმაყოფილებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს და მისი მონაწილეობა აღნიშნულ შესყიდვაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

## 16. ინტერესთა კონფლიქტი:

16.1 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ ამ კანონის მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

## 17. მხარეთა რეკვიზიტები:

| | |
|---|---|
| თვითმმართველი ერთეული ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია | შპს სი-ბი-აი |
| ს/კ 243570989 | ს.კ.: 405192483 |
| მისამართი. ხარაგაული 9 აპრილის ქ, N15 | მის: ქ. თბილისი. ს. ჭიაურელის #15. ბ.10 |
| სახელმწიფო ხაზინა: TRESGE22<br>ანგარიშის ნომერი:200122900 | ა/ნ: GE79BG0000000187888000 |
| ტე ლ0433220073; მ ობ . 599852605 | მობ: 577 170 004; 577 055 555 |
| ელ.ფოსტა:kharagauli.meria.kancelaria@gmail.com | ელ.ფოსტა: ltdcobi@gmail.com |
| კობა ლურსმანაშვილი | პაპუნა პეტრიაშვილი |

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი:** **დირექტორი:**

Koba Lursmanashvili

Digitally signed by Koba Lursmanashvili
Date: 2023.05.01 12:14:34 +04'00'

Papuna Petriashvili 01009006731

Digitally signed by Papuna Petriashvili
Date: 2023.05.01 11:08:04